



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2022 წლის 7 მარტი

დისციპლინური საქმე №16/22
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

--- 2022 წლის 7 თებერვლის №16 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2022 წლის 11 თებერვლის №79/16-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ და განხორციელდა საქმის მასალების გამოთხოვა.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

1.1. საჩივრის ავტორის განცხადებით მოსამართლემ გააჭიანურა საქმის განხილვა.

1.2. საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ მოსამართლის მეუღლე არის ერთ-ერთი მოპასუხის ძმის მეგობარი, თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა მოსამართლემ არ განაცხადა აცილება.

1.3. საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა და განჩინების კანონიერებას. კერძოდ, იგი აცხადებს, რომ სასამართლომ 2020 წლის 8 დეკემბრის განჩინებით უკანონოდ შეაჩერა საქმის წარმოება, 2021 წლის 2 სექტემბრის გადაწყვეტილებით კი უკანონოდ უთხრა უარი სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. --- 2020 წლის 3 აპრილს სარჩელით მიმართა --- სასამართლოს, მოპასუხეების ---, ---, ---, ---, --- და --- მიმართ ხელშეშლის აღკვეთის, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისა და თანხის დაკისრების მოთხოვნით.

2020 წლის 7 და 8 მაისს მოპასუხე მხარემ სასამართლოში წარადგინა შესაგებელი.

სასამართლო სხდომები გაიმართა 2020 წლის 23 ივლისს, 27 აგვისტოს, 11 სექტემბერს, 22 სექტემბერსა და 8 დეკემბერს.

2020 წლის 8 დეკემბერს მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლომ მიიღო განჩინება საქმის წარმოების შეჩერების შესახებ. კერძოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ შეჩერდეს სამოქალაქო საქმის წარმოება --- სასამართლოს --- სამოქალაქო საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

2020 წლის 24 დეკემბერს მოსარჩელე მხარემ კერძო საჩივარი, 2021 წლის 23 მარტს კი დაზუსტებული კერძო საჩივარი წარადგინა სასამართლოში -- -- სასამართლოს 2020 წლის 8 დეკემბრის განჩინების გაუქმების მოთხოვნით.

2021 წლის 14 მაისს -- სააპელაციო სასამართლოს განჩინებით -- -- კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა, სასამართლომ გააუქმა -- -- სასამართლოს 8 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს.

2.2. -- -- 2020 წლის 9 ოქტომბერს სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხის - -- -- მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისა და სადავო უძრავ ნივთზე მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით.

2020 წლის 13 ოქტომბერს სასამართლომ მიიღო განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ.

2020 წლის 16 ნოემბერს მოპასუხე მხარემ შესაგებელი წარადგინა სასამართლოში.

სასამართლო სხდომები გაიმართა 2021 წლის 29 აპრილს, 27 მაისს, 24 ივნისს, 13 აგვისტოსა და 2 სექტემბერს.

2021 წლის 24 ივნისს სასამართლომ მიიღო განჩინება საქმეთა გაერთიანების შესახებ. კერძოდ, -- -- სასამართლოს წარმომებაში არსებული საქმე -- (მოსარჩელე: -- --, მოპასუხე: -- --) და საქმე -- (მოსარჩელე: -- --, მოპასუხეები: -- --, -- --, -- --, -- --, -- --, -- --) გაერთიანდა ერთ წარმომებად.

-- -- სასამართლოს 2021 წლის 2 სექტემბრის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი -- -- და -- -- შორის 2014 წლის 10 ოქტომბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება და სადავო უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობილ იქნა -- --. ამასთან, სასამართლოს გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მოპასუხეს -- -- სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის 3,000 ლარის და სარჩელის უზრუნველყოფის 50 ლარის გადახდა.

2021 წლის 13 ოქტომბერს -- -- სააპელაციო საჩივარი წარადგინა სასამართლოში.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც წარმოდგენილია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტში.

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია სასამართლოს დამოუკიდებლობა. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები, 62-ე მუხლის მე-2 პუნქტი კი განსაზღვრავს, რომ მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო

სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სწორედ სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). გასაჩივრების უფლების რეალიზაციის მიზნით, მხარეებს მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, შესაძლებლობა აქვთ მიმართონ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს. შესაბამისად, დისციპლინური სამართალწარმოების ჩრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტი განსაზღვრავს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების შეფასების, აგრეთვე, ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასების დაუშვებლობას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავის მხრივ, იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას. თუმცა, საჩივარში მითითებული გარემოება, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერების საკითხის შეფასებას, სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის კომპეტენციის ფარგლებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლი დეტალურად განსაზღვრავს საქმის წარმოების შეჩერების საფუძველებს. კერძოდ, მითითებული მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული წესით.

მოცემულ საქმეზე მოსამართლემ იხელმძღვანელა საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად და მიიღო განჩინება საქმის წარმოების შეჩერების შესახებ, ვინაიდან მიიჩნია, რომ სხვა სამოქალაქო საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც იმავე სასამართლოს წარმოებაში იყო გავლენას მოახდენდა განსახილველ საქმეში დასადგენ ფაქტობრივ გარემოებებზე.

რაც შეეხება, მოსარჩელე მხარის განცხადებას სასამართლოს მიერ უკანონო გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და კანონის შესაბამისად, შინაგანი რწმენის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას. მოცემულ საქმეზე მოსამართლემ შეისწავლა

საქმის ფაქტობრივი გარემოებები და წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, კანონის შესაბამისად მიიღო დასაბუთებული გადაწყვეტილება.

ამდენად, საჩივრის ავტორის მოთხოვნა, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებას არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინურ გადაცდომად.

კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ვ ე ტ ი ა :

1. შეწყდეს -- -- №16 საჩივრის საფუძველზე მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა და განჩინების კანონიერების შემოწმების მოთხოვნის ნაწილში (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.3. პუნქტი).
2. გაგრძელდეს დისციპლინური სამართალწარმოება №16/22 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლე -- -- მიმართ, დისციპლინური გადაცდომის სხვა ფაქტების შესწავლის ნაწილში (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.1 და 1.2. პუნქტები).

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი